

შინაური საქმეები

№ 29.

3306ა, დეკემბერი 14, 1908 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეციათ

ადამსი: ქუთაისი

რედაქცია.

სოციალ-დემოკრატიული პარტია.

შინაური: აკაკის იუბილეს გამო—ივერიელ ს.; პასუხად ბ. დამსწრეს—რედ.-ისა; ბნეობრივი გადაგვარება—
ე. ჩ.—ძე-სა; ქუთაისის თეატრის ნიადაგი სტუმრები—ბოსლეველისა; შეუღლებლობა სოციალიზმისა (გავრძე-
ლება)—ნაცარყანელისა; წერილები რედაქციის მიმართ—მღვ. ი. ფანცხველი და მღვდ. რ. სანებლობისა; ქუ-
თაისის ციხე (ლექსი)—რ. საჯავაბოელისა; სიტყვა აკაკის იუბილეს დღეს—რედაქტორის მღვ. სიმონ (ქუდიბიძისა).

რედაქცია უმორჩილესად ათხოვს ხელას მომწერთ

წარმოდგინონ ქურნალის წლიური ფასი.

სოციალ-დემოკრატიული პარტია

„შინაურ საქმეებზე“

1908/1

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუ-
თაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში
№ 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფა-
სი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი
ღირს 8 კაპ. აპრილიდან იანვრამდის 3 მანეთი.
გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ
განცხადებას.

აკაკის იუბილეს გამო

I.

საზოგადოთ მიღებულია რომ საიუ-
ბილეთ დღესასწაულზე კარგი რამ უთხ-
რას იუბილარს, ნათლად წარმოდგინო
მისი მოქმედება და თუ რამ ნაკლებეუ-
ნება ჰქონდა მის ცხოვრებაში, უუურადღე-
ბოთ დასტოვო და მხოლოდ კარგ და სა-
სახელო შემთხვევათა და თვისებათა აღ-
ხიშნით გაამხი. რულო, როგორც დამსწ-
რე საზოგადოება, ისე თვით იუბილა-

რი, რომლის მოღვაწეობას ვდღესასწაუ-
ლობთ.

დღეს მთელი საქართველო ერთი სუ-
ლით და ერთი გულით დღესასწაულობს
ორმოცდაათი წლის ბრწეინვალე მოღვა-
წეობას ხუენი დიდებულიის ჰოეტის აკაკი
წერეთლისას. როგორც ერთი ქართველ-
თაგანი, რომელსაც ქონია ბედნიერება
მენ-სა ნამდვილ ჰოეტური სახე დიდებუ-
ლის მკონისა, სხვა და სხვა შემთხვე-
ვებში მესძინა თვითონ მისგან ჰირის-
წელიანი სიტყვები და უსახვროთ დაუ-
მტკბარეივავ მისის შეუდარებელი ხელოუ-
ნებით შემონაქმედ ნაწერებით, მეც სულით
და გულით თუ საერთო ფერხულში არა,
სუძის ძუდრო-სადგომში მანც ვდღესა-
სწაულო დიდებულიის მკონის ორმოც-
დაათი წლის იუბილეს და ვეკითხვი
თავ: ვინ იყო აკაკი წერეთელი, რით
დაიძახებოდა ეს დიდება.

ივერიელისა
სიბუღალტორისა
ბი. ლიონისა



იგი ეს კენიოსი ზოგჯერ საქართველოს რისაოებისა?

დაახლოებით არ ვიცნობ ავაკის, როგორც კერძო ადამიანს, და არც შემიძლია ვხატავ რაღაც მის ღირსებას ნაკლებულეფანებაზე; როგორც ზოგჯერ კი ვიცნობ თვით მისი ნაწარმოებით და ვსე-
დავ, რომ იგი არის შეუდარებელ მჭერ-
ქუთუნიანობით და ზოგჯერ აღტაცებით მქა-
დაგებელი უმაღლეს ქრისტიანულ სწე-
ობისა და მამულისადმი თავდადებულ სი-
ყვარულისა. და, რაც უფრო ძვირფასი და
მესანიშნავია, იგი არის ნუკეძინისმცდე-
მელი, იმედის მომნიჭებელი და ამით ერთ-
თი ათასად აღაფრთოვანებს თავის მკით-
ხველურს და თავგანწირულ მისწრაფებით
მიუახლოებს ადრევე დასასულ საუკეთესო მი-
ზნისაკენ. მისსივს, ოდესღაც ბრძანა დი-
დურულად ვიკტორ ჭიუგომ, ურწმუნოება
უიმედობას ჰბადღავს ადამიანში, უიმედო-
ბასთან ბნელდება და ისჯობს საღიისი და
კუთილი მისწრაფება ადამიანისა. ავაკი წე-
რეთელი ამ უიმედობას უოველივე კატე-
რებაში უქარწყლებს ადამიანს და იმის
ნაცვლად თვალწინ უყენებს სატანჯველს
იქით მომავალ ბრწყინვალე იმედებს და
მით ერთი ორად იტაცებს მკითხველის
ურბადლებს. ავაკი ცხოველი სასიკეთა და
იმედია დაობლებულ ქართველისა და
ამით მან დიდი სამსახური გაუწია ძვირ-
ფას სამშობლოს; ამით მან არა ერთი
და ორი ნიჭიერი ქართველი დაიხსნა გა-
დაგვარებისგან და დაუბრუნა ენერგიულ
მუშაკად ჭირხახელს საქართველოს, რო-

მელსაც იგი, ავაკი, უქადის ბრწყინვალე
მომავალს. ავაკის ის ღვაწლი მიუძღვის
ხვესში რაც ვიკტორ ჭიუგოს საფრანგეთ-
ში და მიცვეების ზოლონიეთში. ავაკი მც-
სრამდენე საუკუნის დიდებული ბაირახტა-
რია საქართველოს ეროვნებისა და ამ
მხრივ გაცილებით მძლავრ სდგას თავის
წინამორბედებსე, თუძც მესანიშნავის ნიჭის
ჰატრონებსე, მაგრამ მხოლოდ მკენესარე-
სე და მოტირლებსე საქართველოს მწა-
რე ბედის მოგონებით.

ავაკის წინამორბედი ალექსანდრე ჭავ-
ჭავაძე, ნ. ბარათაძეილი, ვასტანგ და გრი-
გოლ ორბელიანები დიდი ნიჭის ჰატრო-
ნები იყვნენ; მლიერთა მათი ღირიკა, მა-
გრამ მკითხველი მათის ნაწერების კით-
ხვით უიმედობას გრძობს, მხოლოდ კენ-
სის და ცრემლით ვსსება თვალები; მლი-
ერთი გრძობებით ვატცვესული მკითხვე-
ლიც ისე დაღვრეძილია, როგორც ვკტო-
რნი ნაწერებისა.

მაგრამ ნაცვლანი, მისთა კიდეთ
მამით მძოსველნი,
სავლოვო ნამთნი მენობათა
კვლავ ეროვნათა,
სად ჰქვავებულან დიდებულად
ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა
და ნატამლოთა, —
ჰმუნგათა თვისთა მნახველითაც
უზიარებენ;
უდაბურება, მხუძარება,
არარობა
თვალთა და გულისა კაცისასა

სველით ავსებენ, —
 და უნებლიეთ წარმოადგება
 ოხვროთ ეს გრძნობა:
 „აჰა ჰალატთა დიდებულთა
 სტრეული ნაძით!
 აჰა ქალაქთა ჩინებულთა
 სვედრი უცილო!
 აჰა ჩვენისა მოძავლისა
 ნამდვილი ხატი!
 მხოლოდ აწმუი სე რას დამბულხარ
 ხედვაჲ ბრძობილო?!
 — დასტირის ა. ჭავჭავაძე გოგნის ტბას
 და მის მიდამოს.
 ვაჰ თუ რაც წახდეს,
 ვეღარ ალხდეს,
 ვეღარ აუვაღდეს ახლის შვენებით?
 და რაც დაეცა
 ის წარიტაცა,
 შავძან ეორანძან, ვით უმწე მსხვერპლი!
 — შესწივის გრიკოლ ორბელიანი თა-
 მარ მეფის სახეს დახგრეულ ტამარში.
 რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს
 ცეცხლი შედემა,
 რა საქართველო დახგრეული
 მოძელანდება,
 რა ფიქრს მოძივა: თვით ნანგრეუნიც
 იქნება გ ნჭქრენ
 და მათ სახელნი, მათ ხსენებაც
 აღარსად დარჩენს!...
 კენესის ვ. ორბელიანი თავის „იმედ-
 ში“ და ასეთი გრძნობები გულს ვიკლავს
 და ხალისს გიკარგავს მკითხველს; ასეთ
 გრძნობების მოწოდებით სასიამოთი გიფუს-
 დება და თვით ცხოვრებაც ჯოჯოხეთად

გეჭვენება. სულ სხვას გრძნობ აუკაც და
 ილიას ნაწერებში. აქ თვით ჯოჯოხე-
 თიც სამოთხედ გეჭვენება, აქ მკითხველი
 აღფრთოვანებული ხარ, მით რომ ცხა-
 დად ხედავ და სჭვრეტ აწინდელ ცხოვ-
 რების ბნელეთის იქით ბრწეინვალე მო-
 ძავალს.
 ხეძო კარგო ქვეუანავ
 რახედ მოგიწეინა?...
 აწმეო თუ არა გეწეალოის,
 მოძავალი ჩვენია...
 წურულ შვილნი წამოგესწრენ
 ნაზარდნი, გულმტკიცები
 მათის ზრუნვის საგანი
 შენ ხარ და შენ იქნები,
 არ კიმტეუნებენ შენა
 თუ ვი მათ მივინდობი!...
 მათის ღვაწლით შეგეძმენს
 სახე ბედით მთეინა...
 აი ბრწეინვალე იმედები რომლებსაც
 აწოდებს მკითხველს დიდებული ილია
 ჭავჭავაძე ამ ჰატარა ლექსში. აქ ვეკარ-
 ვება ეოველივე უწმუნოება, იმედი გი-
 დეაუებს გულს და გსურს იცხოვრო,
 გსურს იმოქმედო. ილია და აუკაცი თან-
 ტოლნი და თანხრდილნი იყვნენ, როგო
 წლოვანობით, ისე იდვით და მისწრა-
 ბით და რომ ილია ვერაგების მოსაწი-
 ბით და მოქმედებით არ დაღუპულიყო
 ქართველო ერთად იდღესასწაუ ებდა ო
 ვეს იუ ილე . აკაკი წერეთელი არის
 ნი სკოლა, ჩენი მასწავლებელი; მოს-
 ნავე ქართველოთამ დიდი ხანია რაც ა
 არა რომ ჩვენ ქართველეთს სკოლა სახეზ

დღესული არა გვაქვს; ვეღარ ტინის სკო-
ლები ჩვენში რუსულის სახინათისა, ამ
სკოლებიდან ყოველივე ის, რაც შეხდგენს
ქართველი ერის დიდებას და სიამაყეს,
რითაც ქართველს შეუძლია საკუთარი ად-
ვილი იქონიოს სხვა ერთა შორის, გან-
ყენილია. ჩვენ მოხარდ თაობას წარ-
იდგენს არა აქვს საქართველოს ისტო-
რასე, მის დიდებულ მმართველებსე და
ერებსე, ქართველთა მოხსენებელ არ იცის,
აქვს თუ არა მას საკუთარი სამშობლო,
დღა ენა და ლიტერატურა, მისთვის რომ
ძაბეს სკოლაში არ ასწავლიან, ქართუ-
ლი ახალგაზდობა თვითონ ეხიდება სამ-
ობლოს შემუცნებს, რასაკვირველია სკო-
ლის გარეშე, დიდებულ ქართველების მო-
უვალეების და მოქმედების წყალობით. და
ი აქ, ამ სარბიელზე გამოიხატა დიდუ-
ული საქმე და თავდადებული მოღვაწეობა
კაცი წერეთელისა! მან გადახედა ჩვენს წარ-
უღეს, ჩვენს ისტორიას; ნახა იქ შესა-
იმნავი მმართველები, გმირები და გენი-
სები, რომლებს მსგავსნი ერთგულ
ამავედ მიახინათ ჩვენზე უფრო დაწი-
რებულ და პოლიტიკურად დამოიუკი-
ლ ერებს: საიმედოთ ააქდურა თავისი
ოვანი ჩანგი და გენიოსურ ნიჭით
ახინოდ გადაკვიძლია წინ მთელი
წარსული, შეუდარებელ ენით და-
ს ჩვენი წინაპრების სამკაბლითო-
ანი, მიწოდა თავის ნაწერები ქარ-
ახალგაზდობას, დააკვირა, ჩახე-
ულში და აგრძობინა, რომ ჩვენც
აღვართ, ჩვენც გვიცხოვრია, ჩვენც

გვექონია მოქალაქობა და ადამიანობა. დი-
ას, დააკვირა ქართველი ახალგაზდობა და
ბევრს მთვანს, მამულიანადმი სიყვარუ-
ლის ჩაგონებით, აუძალა ნერვები, გაი-
ტაცა ქართველურ გრძობით და გაამხა-
დებინა თავი მამულის სამსხვერპლოზე ტა-
რიგად შესწირავად; უმეტესი ურადღება
მგოსნისა იყო მიქცეული ქრისტიანულ
მაღალ სწეობასე და პატიოსან გმირობა-
სე.

ნუ გეძინია! სმლიანი უსძლოს
რომ შეგეძლო, — არ შეგადრება,
მხოლოდ თანსწორი იარაღითა
შენი დაჩაგვრა შე შენატრება!

ალაპარაკებს აკაკი ქართველ გმირს
ორიელიძეს მოწინააღმდეგე აფრანკესთან.
აკაკი არის, როგორც შემოთ ვსთქვით,
მცნარაძეცე საუკუნის ბაირახტარი, მედ-
როშე, რომელსედაც ნათლად აქვს ამო-
ქარგული

„ქრისტიანობა და საქართველო“!

აი ის დროშა, რომელსაც აკაკი აწო-
დებს ხელში ქართველ ახალგაზდობას,
აჭა დევიზი, რომელიც დაუსახავს გენიოს
პოეტს! და ამ დევიზს სასელოვანად ემსა-
ხურებოდა და ემსახურება იგი; მთელი მისი
მწერლობა, მწერლობის ყოველივე დარ-
გით, და ცხოვრება ამაში გამოიხატება,
ასეთი გრძობებით გამსჭვალულ გმირებს
ემებს მგოსანი, ასეთს მოღვაწეებს უვივის
„მისი დაფი და მისი ნაღარა.“ ყოველი-
ვე დაძაბრკოლებული მიზეზი საძლეველია,
მგოსნის აზრით, იგი ვეღარაფერს ებრძვის
და ვეღარაფერს იმორჩილებს:

დე, დასამთრდეს, სუსხმა დაკვრას,
ქარიშხალმაც გვეწოდოს ველით!..
ზამთარი ვერ შეგვაძინებს,
თუ გასაყუსულს კი მოველით!
ახუ როგორც იგი ამბობს მეორე
აღვას თავის სამშობლოზე:

არ მოძვედარა... მხოლოდ სძინავს
და ისევ კაიდვიძებს...

მისთვის, რომ დღეს ველარ გვარჩენს,
არ გვიძნობს ორგულობა!
ჩვენ წინაპრებს თუ ჭქონიანთ,
ჩვენცა გვკონდეს დიდსულობა!
დე მისთვის დაუღარიბდეთ,
სურვს მოვიდეთ საწელის გუდა:
ზატისინ ღარიბს რით სჯობს
გამდიდრებული იუდა?..

და კიდევ სხვა ადგილზე:

არა, აჭკვავდეს იმედი!
გულს ვერ გაძიტესს ჭადარა!...
გმირებს უძისის... უეივის
ჩემი დაფი და ნაღარა!...

ღიან გმირებს, სწეობრივად ამაღლე-
ბულს და მამულისათვის თავდადებულს
გმირებს უეივის ზოეტი.

აკაკი არის ჩვენი სკოლა და ჩვენი
მასწავლებელი და საუკეთესო, უწარჩინე-
ბულესი, რომლის მსგავსებაც არ იპოვე-
ბა არა რომელიმე სკოლაში, არა რომე-
ლიმე სასწავლებელში. აკაკი ეველგან იმ-
ყოფება — ქალაქში, სოფელში, სკოლაში,
თეატრში, ღსინში და ჭირში და ეველ-
გან გვაწოდებს და კატკობს შედარე-
ბულ ლექსებით; თვითონ გვაწოდებს ჩნეს
ხელში და გვამღერებს მღალი ხსეით
გაქღნითილ სიძღერებს, რომლებიც მასვე
შეუთხზავს, მასვე შეუხაძე იას ქართუელის
გმირთა დიდებული ძიქედებით და ხელად

მობილთა დასარქმევად სანატრელ სახელე-
ბით, ასეთი მოღვაწეობით აკაკიმ ბევრი
თაობა აღუსარდა სამშობლოს, ბევრი ახალ-
გახდა იხსნა გადაგვარებისგან და ასეთს
მოღვაწეს არ შეგვიძლია არ მიულოცოთ
დეუსასწაული დიდის მადლობით, აღტაცე-
ბით და ტაშის ცეკით. 1908 წ. 5 დეკემბერი.
ივარიელი.

აკაკისად ბ. დამსწრის *).

წაიკითხეთ ბ. დამსწრის გოდება შესა-
ხებ სამღვდლოების გადაწყვეტილებისა საეპარ-
ქიო სტამბის გახსნის თაობაზე და კალამზე ვი-
ცანიო, რომელ ნაკადულიდგან გადმოსჩქეფს ეს
ანკარა წყალი. ბატ. დამსწრის უმთავრ სი თვი-
სება შურია და რა გასაკვირვალია, რომ სი-
მონ მჭედლიძის ბედნიერება შემურდეს მას
შემდეგ. რაც ის 4000 მანეთს მოიგდებს ხელ-
ში, სტამბას შეიძენს, რვა წლის განმავლობა-
ში მილიონერი შეიქნება და სამღვდლოე-
ბას რაღაც ხუთას ხუთას მანეთს ვადუგდებს
წელიწადში. ბ. დამსწრემ მთელი თავის ხან-
გრძლივი მოღვაწეობა სიმდიდრის ძებნაში გა-
ატარა, რისთვისაც არ ზოგავდა არავითარ საშეა-
ლებას და მე არ მიკვირს სრულიად, რომ ჩემ გან-
ძახებაშიდაც მან იგივე მისწრაფება დაინახა: „კო-
კასა შიგან რაცა სდგის, იგივე წარმოღინდები-
სო,“ — ნათქვამია. მაგრამ ერთი რამ დავიწყებია ბ.
დამსწრეს (უთუოდ ისიც შურით), სახელდობ ის,
რომ სტამბას და გამოცემას რომ რედაქტორის
გამდიდრება შეძლებოდა, თვით ბ. დამსწრე ეხლა
მილიონერი იქნება. ჩვენ მივხვდით მგონი ბ.
დამსწრის აზრს. ბ. დამსწრეს უხარია, რომ
მჭედლიძე მილიონერი ვერ გახდება, რადგან
სტამბა ველარ შეიძინა. მაგრამ მას მეორე რა-
მეც ახარებს — რომ უკნურ სამღვდლოებას
4000 მანეთი შერჩა, ე. ი. არ დაეკარგა ისე,
როგორც საფუტკრეში ჩაყრილი 1000 მანეთი.
მე მგონი, ბ. დამსწრეს უფრო გაეხარებოდა
ეს ფული დაკარგოდა სამღვდლოებას, რად-
გან ერთ შემთხვევას კიდევ იმოგინდა სამღვდე-
ლოება სასაცილოდ აეგღო და თავის კუთა-გა-

*) იხ. „მწვეთი“ № 19 — 20.

მოცდილება წინ წამოეყენებია, როგორც მანათობელი ვარსკვლავი ბნელით მოკლე სამღვდლოების აღმოსაფერავი ბ. დამსწრის გამოცდილებას და ქვე მახვილობას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ის თანხა, რომლისაგანაც ოთხი ათასი მანეთი ითხოვებოდა, კაი ხანია დაკარგული აქვს სამღვდლოებას და მისი ხელში მოგდება, მაზე თავის უფლების აღდგინება მოგება იქნებოდა სამღვდლოებისათვის და არა წაგება. თუ იმას ბრძანებს ბ. დამსწრე, რომ ეს ფული ეხლა შენახულია, ისიც ნუ დაავიწყდება სად წავიდა დანარჩენი?

ყოველ შემთხვევაში ვაფრთხილებთ ბ. დამსწრეს, თავის ნამეტან მოკლე აღლით ნუ ზომავს სხვის მისწრაფებას. ნუ დაივიწყებს, რომ ყველა აღმიანი ავაზაკი და მყვლეფელი არ არის.

რაცა შეეხება გაზეთის შინაარსის დაწუნებას, ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდეს.

რად.



ზნეობრივი გადაგვარება.

(გაგრძელება*)

ყოველსა. რომელსა აქვდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქვდეს, და რომელსა იგი აქვდეს, მოველოს მისგან (მტ. თ. 25, მ. 29)

ფიზიკურს და აგრეთვე სულიერ ბუნებაშიაც არსებობს კანონი, რომლის ძალით სხეული, თუ ის არ იწვრთნება, არ ვარჯიშდება თან-და-თან სუსტდება, ჩლუნგდება და ბოლოს მთლად ქრება. მაგ. ცნობილია, რომ ავსტრიის პროვინციის კარნეოლის და ამერიკის შტატის კენტუკის მღვიმეებში მრავლობით ცხოვრობს ვირთაგვების ბაყაყების, მწერების, კიბოების და თევზების განსხვავებული ჯიშები, რადგანაც ამ მღვიმეების ქვეშ არიან ტბები და მდინარეები. ყველა ეს სხვა და სხვა გვარის და ჯიშის ცხოველები ერთმანეთს იმით გვანან, რომ ყველა ისინი ბრძმებია. იმათ, რომელნიც მღვიმეების შესაველთან ახლო ცხოვრობენ თვალეები აქვთ, მაგრამ ვერაფერს ვერ ხედავენ; ხოლო სხვებს კი,

* იხ. „შინ. საქ.“ № 28.

რომლებიც მღვიმეების ძირში ცხოვრობენ მხედველობის ორგანოს ნასახიც არა აქვთ, არა აქვთ თვალეების ფოსოები. ცხადია, რომ იქ, მღვიმეების ქვეშ საუკუნოებია არ შეუშუქებია სინათლის სხივს. თევზებს და ვირთაგვებს არცაროდის არ უსარგებლიათ მხედველობის ორგანოებით, ამიტომ ისინი პირველად დასუსტდნ, შემდეგ დაჩლუნგდნ და ბოლოს კ. მთლად გაქრნ. არწივმა, რომელიც მთის მწვერვალებზე ცხოვრობს, ისე გაავითარა მხედველობა, რომ მზესაც თავისუფლად ხედავს და მამონტის მღვიმეების თევზებს კი თვალის ფოსოების ნასახიც არ შერჩენიათ. ახეთია სულიერი მხედველობაც. განსპეტაკებული ზნეობრივი გრძნობა შეძლებას აძლევს აღმიანს გულისყური მ სცეს თავის თავში ღეთის ხმას. „ნეტარ არიან წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მათ. 5 თ. 8 მ.). ზნეობრივ თვითგანვითარებაში დაუდევრობა მიიყვანს აღმიანს სულიერ სიბრძავემდი, მთლად დაუჩლუნგებს მას თვით გრძნობასაც ყოველივე კეთილის, მაღალისა და წმინდისადმი. ასეთ აღმიანებზე ამბობდა ქრისტე ხოლომე: „და აღესრულების მათ ზედა წინასწარმეტყველება იგი ისაისი: სმენით გესმოდეთ და არაგულის ხმა ჰყოთ, ხედვით ხედიდეთ, და არა იხილოთ. რამეთუ განჰრქა გული ერისა ამის და ყურითა მძიმედ ისმინეს, და თვალნი მათნი რაიწუნხეს, ნუ უკვი იხილონ თვალითა და ყურითა ისმინონ, და გულის ხმა ჰყონ, და მოიქცენ, და შე განვკურნენ იგინი (მათ. 13 თ. 14 - 15 მ.). ამის შემდეგ აღვილი გასაგებია სატყეები იგავი აქანქარზე: „რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს, და რომელსა არა აქუნდეს მოველოს მისგან (მათ. 25 თ. 29 მ.).

თითოეულს ჩვენგანს აქვს სულიერი და გულის განსაკუთრებული მოთხოვნილებანი. ეს მოთხოვნილებები არიან ჩვენი საუცხოვე და სამღვთო ნიჭი. იცოდეთ მათი დაფასება. ეცადეთ მათ განვითარება და გამრავლებაზე. ნუ ჩაქრობთ თქვენში კეთილს აღფრთოვანებას, მორჩილებით გაყევით თქვენ წმინდა და ჯერ კირვე ცხოვრების სიღუბჭირისაგან გაუფუჭებელ გულის მისწრაფებას კეთილისადმი. უფრ-

თხილდით თქვენს გულში მყოფ ღვთიურ ნა-
პერწყალს. იმის ანთება ძნელი არ არის, მაგ-
რამ ის კი გახსოვდეთ, რომ, როდესაც ცეცხ-
ლი გაქრება და ცხოვრების ნიაფი ნაცარს
გფანტავს, მაშინ ველარ აღანთებთ ცეცხლის
აღს.

„სანთელი გვამისა არს თვალი; ოდეს თვა-
ლი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გვამი
შენი ნათელ იყოს; და უკეთუ თვალი შენ ბო-
როტ იყოს, ყოველი გვამი შენი ბნელ იყოს“
(ლუკ. 11 თ. 34 მ.). თუ სინათლის წყარო
დაბნელდა, მაშინ როგორიღა იქნება სიბნელე?
როგორ ავიცილებთ ჩვენ ამ სიბნელეს, თუ
უარს ვყოფთ იმ სინათლეს, რომელიც მოგვცა
ჩვენ ქრისტემ!

„იკოდე და გახსოვდეს, — ასწავლიდა ძვე-
ლი დროის ბრძენი ეპიკტეტი. — რომ თუ ადა-
შიანები უბედურები არიან, ამაში თვით ისინი
არიან დამნაშავენი, რადგანაც ღმერთმა შექმნა
ყველა კაცი ბედნიერებისათვის და არა იმის-
თვის, რომ ისინი უბედურნი ყოფილიყვნენ.
ღმერთი მოგვექცა ჩვენ, როგორც კეთილი მამა;
მისი სახიერებისა გამო იმან მოგვეცა ჩვენ
ყველაფერი, რასაც კი მივყავართ ქვეშაირტ
სიკეთემდე.“ და თუ, მიუხედავად ამისა, ჩვენი
ცხოვრება უვარგისად არსს მოწყობილი და
გვიმძიმს ჩვენ,

როგორც სწორი გზა უმიზნო,

როგორც ქვიფი სხვის დღეობაზე,

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უგუნურად
და უცოდინარად ვსარგებლობთ იმით.

მართლაც ჩვენ გასაოცარი სიადვილით
გვეპრობით საკითხებს^Xთავის ცხოვრების მოწყ-
ობის შესახებ. სპენსერი ამბობს: „ასე გეგო-
ნებათ, რომ ადამიანების უმრავლესობას მიზ-
ნად დაუსახავს იცხოვროს ისე, რომ, რაც შეი-
ძლება, ნაკლები აზროვნება დახარჯოსო.“ არც
ერთი მოიჯარადრე არ შეუდგება საბძლის გა-
კეთებას ისე, თუ წინასწარ არ შეადგინა ანგა-
რიში, ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა მოსაზრებები
შენობის შესახებ; არც ერთი კალატოზი არ
გააწყობებს ავტობუსს, თუ არ გაზომა თა-
რახოთი, ჩვენ კი ყოველთვის ვაწყობთ ცხოვ-
რებას ისე, რომ ერთხელაც არც კი დავეთქრ-

დებით მისი აზრისა და მნიშვნელობის საკით-
ხებზე, და არც მოგვეძვევა არავითარი საზომი,
რომლის შეოხებითაც შეიძლებაოდეს ცხოვრე-
ბის სწორი და გონიერი მიმდინარეობის და-
ფასება. მაშ, რა არის გასაკვირველი, თუ ასე-
თი შენობები ხშირად ინგრევიან და ამ ნანგრეე
ქვეშ ჩვენც მოუყვებით ხოლმე? ჩვენ ამას
ვერ ივცილდებით თუ გზას ავუხვევთ ერთად-
ერთ სწორ ცხოვრების გეგმას, რომელიც გვი-
ჩვენა ჩვენ იესო ქრისტემ.

ესთქვით, სანამ ჩვენ ახალგაზრდები და უღარ-
დღეობი ვართ, სანამ ხელს გვიწყობს საშუა-
ლება, ჯანმრთელობა და სიღამაზე, შეიძლება
მოვაწყოთ მხიარული და სასიამოვნო ცხოვრე-
ბა ისე, რომ არც კი შევიწუხოთ თავი სხვა-
და სხვა საკითხებით, მაგრამ ასეთი ცხოვრება
განა დიდხანს კი დაგვაკმაყოფილებს? ადრე თუ
გვიან ის მაინც გამოგვიჩნდება ჩვენ „ცალიერ
და სულელურ ხუმრობად“. რაც უნდა ვთქვათ,
რაც უნდა მოვარიდოთ ჩვენ აზრი სულის
უმაღლეს მოთხოვნებებს, ადამიანი მართო
პურით მაინც ვერ იცხოვრებს. თითოეულს
დაუდგება ფაში, როდესაც პოეტთან ერთად იძუ-
ლებული იქნება სთქვას:

მე თუ კი ვცხოვრობ, მისთვის კი არ
რომ ვცხოვრობდე დავიწყებაში,
რომ მეშინოდეს ჩემ თავს ვკითხო: „რის-
თვის ვცხოვრობთქო?“

მე მინდა, რომა თითოეულ დღე, თითოეულ
ჟამ, თითოეულ წამში

ვეულისხმობდე სამარადისო აზრს და
ვეგრძნობდე ცხოვრების მიზანს.

პესსიმიზმი, რომელიც თანამედროვე ცხოვ-
რებას ეანგსავით ღრღნის, სწორეთ იმით აიხ-
სნება, რომ ჩვენ ერთი ფრთია ცის მაღალ
სივრცეში დავნავარდობთ, ხოლო მეორეთი კი
უშწოთ ვისვრებით ცხოვრების სიღუბტირესა
და ტალახში. ამის გამო აუცილებლად ჩნდე-
ბა შინაგანი განუეთქილება თავის თავსა და
ცხოვრებასთან, რაცა ხშირად იწვევს უღროოდ
ძალით ანგარიშის გასწორებას უკანასკნელთან.
მაგრამ ცხოვრება, რაც უნდა აუტანელი იყოს
ის, მაინც უფრო ძვირფასია, ვინემ ტყვია და
საწამლაფი. მხოლოდ საჭიროა მისი ნამდვილი

აზრის (გაგება) შეგნება, საქიროა გაგება იმის დასაბამისა, რომელითაც ის ხელმძღვანელობს და რომელიც აქლევს მას უდიდეს ფასს.

ჩვენთვის, რომელთაც გვაქვს და გვწამს საბარება, ასეთი აზრი, მგონი, აღრე ბავშობიდან ცხადი უნდა იყოს. ჩვენ ასე წარმოგვიდგენია, რომ ქრისტიანი ადამიანი სხვანაირად ვერც კი უნდა აწყობდეს ცხოვრებას, თუ არა ისე, როგორც უბძანებს მას საბარება. მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს... აქ ჩვენ ვხედავთ ცხოვრების ერთ ისეთ სამწუხარო წინააღმდეგობას, რომელიც გვიჩვენებს რომ თითქმის ადამიანს საღი აზროვნება დაკარგოდა. როგორ შეიძლება, რომ ჯარის კაცმა სამხედრო წესი არ იცოდეს, როგორ წარმოიდგენთ იურისტს, რომელსაც კანონთა კრებული გაცნობილი არ ქონდეს, და ქრისტიანი კი, რომელმაც არ იცის ქრისტეს სწავლის ძირითადი კვანძებიანი, ხშირი მოვლენაა. ვერ იპოვით ერთ კაცსაც, რომელსაც პირველდაწყებითი სკოლა გაუთავებია, რომ კრილოვის არაკები ათ იცოდეს, შეხედებით კი ასობით ისეთ პირებს სწავლის დიპლომით, რომელნიც ქრისტეს მიერ მთაზე წამოთქმულის სწავლის შინაარსსაც ვერ გადმოგცემთ. განა შესაძლებელია ინტელიგენტი, რომელსაც არ წაეკითხოს ბუშკინი, გოგოლი და ტოლსტოი? და რამდენი არიან ხოლმე, რომელთაც ოთხი მახარებელის სახელებიც კი არ იციან.

ქრისტეს ცხოვრებიდან რამდენიმე ფაქტის შესწავლა შეკოლაში ჩვენ სრულიად საკმაოდ მიგვაჩნია, იმისთვის რომ ჩვენი თავი ჩავთვალოთ სახარების მკოდნეთ, რის გამო შემდეგში მთელი სიცოცხლის განმავლობაშიაც კი არ ვიღებთ იმას ხელში. აბა რას ვიტყვით ჩვენ ისეთ პირზე, რომელსაც შეუსწავლია რამდენიმე ნაწევრტი სოგრატის, ბეკონის, სპინოზის და გეგელის ცხოვრებიდან და სთვლის თავს ფილოსოფოსად ან ფილოსოფიის მკოდნედ. ასეთი ფილოსოფოსების მსგავს ქრისტიანებს კი მილიონობით შეხედებით. განა გასაკვირვალა ამას შემდეგ, თუ ისინი მიუხედავთ კულტურის განვითარებისა, თავის სულიერ ბუნებით აინც რჩებიან ტლანქ ვერაკებად, თუ იმათ

არ სწამთ კაცობრიობის უკეთესი მომავალი და ხალხთა ძმობა, თუ იმათ შეუძლებლად მიჩნიათ ღვთის სასუფეველის ამ ქვეყნად დამყარება, თუ ისინი არ იღვწიან იმისთვის, რომ კაცობრიობის უმეტესობა შეიქნეს ღვთის სახედ და მსგავსად და რომ ადამიანი—მხეცი გარდაიქცეს ზეციურ მამის შვილად.

როგორ ავიცილებთ ზნეობრივად გავერგებას, თუ არ გავიმსქვალებით სახარების სულით, თუ ვერ შევიგნებთ და ვერ განვიცდით ამ წიგნის სიღიადეს, როგორც ცხოვრების საფუძვლისას.

ადამიანის ერთი სამწუხარო შეცთომათავანი არის თავის ზნეობრივი სახით კმაყოფილება. სახარების ფარისევლის მსგავსად ჩვენც თავმომწონეთ არა ერთხელ გავიმეორებთ ხოლმე თავის გულში: ღმერთო გმადლობ, შენ, რამეთუ მე არა ვარ ისეთი, როგორიც სხვები (ლუკ. 18 მ.). რამდენათმე ჩვენი ასეთი საქციელი იმით აიხსნება, რომ ყოველგან ჩვენს გარშემო ვხედავთ ზნეობრივ სიღატაკეს, ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ ვერ ვამჩნევთ თავის ზნეობრივ სიმახინჯეს. მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ წინ დიადი ზნეობრივი სახე სიყვარულის და სიმართლის ღვთაებრივი მასწავლებლისა, შეადარეთ თქვენი ზნეობრივი სახე იმას და აზრი, რომელიც თქვენ გაქვთ შედგენილი თავის თავზე მაშინვე დიდათ შეგეცვლებათ. ჩვენ ცხოვრებაში აშკარად დავინახავთ მიდრეკილებათა მოუხეშაობას, მისწრაფებათა სიღაბღეს, ცხოვრების სიცალიერესა და სიღუბჭირეს; ფარისევლის თავმომწონებისა და კმაყოფილების მაგიერ, ჩვენ შეწუხებულნი, მეცნიერნი ჩვენი ზნეობრივი დაცემულობისა, სახარების მეზვერესთან ერთად კრძალულებით და თავმოხრით დავიწყებთ ლოცვას: „ღმერთო, გვიღებინე ჩვენ ცოდვილნი“. ხოლო თავის ნაკლულეიანებათა შემეცნება კი იმათი გასწორებისკენ ფეხის წინ გადადგმაა.

ვ. ჩ—ძე.

(შემდეგი იქნება).



ქუთაისის თეატრის ნიადაგი სტუმრები.

კაი ხანია საზოგადოდ თეატრმა დაჰკარგა თავის მომხიბლავი მიზიდულება; თუ ამ რაოდენიმე წლის წინათ თეატრი მეცნიერებისა და ზნეობის ტაძრად შიანდათ და ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ ლაყებისა და პარტერის ბილეთების გასაღებაში, ეხლა ყველამ გული აიკრუა მარტ. ლოკასა და პარტერს თან-და-თან მოაკლდა მუშტარი და ეხლა სიმძიმის კენტროქანდარაზე გადავიდა, საცა ბილეთების სიიაფე და იაფი გართობა უფრო იზიდავს სტუმრებს, ვიდრე ამა თუ იმ პიესის ზნეობრივი და ესტეტიური მოქმედება. ან კი სადღაა დღევანდელ თეატრში ზნეობა და იდეალი, სადაა ესტეტიკა, თუ ზნეობას არ ვუწოდებთ მდაბიო ცხოველურ მოთხოვნილებას და ესტეტიკას უგულო „ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუშა“? დიდებული შექსპირიც ხომ ექვის თვლით უწერებს თეატრის ზნეობრივ გაფლენას, მიუხედავად იმ დიდებულ იდეალებისა, რომელიც მან განახორციელა სცენისთვის თავის უქვედავ პიესებში და რაღა უნდა ითქვას ბ. გორკის და სხვათა პიესებზე, სადაც ასეთი როსკიბული ცინიზმით დასცინიან ადამიანის უმაღლეს, ღვთაებრივ მხარეს, სადაც გვიხატავენ ადამიანს, როგორც უბრალო ცხოველს, თავის ცხოველურ მიმართულებით და მისწრაფებით.

ვერც დაემდურება დღევანდელი თეატრი საზოგადოებას. უწინდელი თეატრი რომ იდეალს ემსახურებოდა, ეხლანდელი გვიხატავს ყოველ-დღიურ ცხოვრებას თავის საზიზღარ, დასამალ და წყალწასაღებ მხარეებით; გვიხატავს იმას, რისაც უნდა გვრცხვენოდეს, რისაც უნდა გვეშინოდეს, რისგანაც უნდა ვისძრწოდეთ და ვილტოდეთ, გვიხატავს ისე ვითომ ასეც უნდა, ვითომ სხვანაირად არც კი შეიძლებოდა. თეატრს რომ ჰკითხო რათ შერები ამ საქმესო, რიხიანად და თავმოშწონეთ გიპასუხებს: შინდა ბიწიერება შევაძულო ხალხსაო. მაგრამ შენს მტერს: რაც თეატრში ბიწიერება იხატება, ის იმავე ღამეს მეორდება მსმენელთა და მაყურებელთა შორის, ის სავსებით გადმოდის საზოგადოებაში, გადმოდის და თავის გასამარ.

თლებელ საბუთებსაც ჰპოვებ მოქმედთა შორის: რა გაეწუბა „ბუნება თხოულობს“, „ბუნებას ვერ ესტლევთ“, „ბუნების წინააღმდეგ წასულა არ შეგვიძლია და არც მარგებელიაო“. აი ის საბუთები, რომლებიც მოყავს თეატრისგან გაბირუტყვებულ ახალგაზღას თ.ვის ბიწიერების გასამართლებელად! ამის შემდეგ რომელი კეუაში მყოფი ადამიანი გაგეკარება თეატრს, ვინ სულელი დაბარჯავს ფულს მის სანახავად და საყურებლად, რასაც უოველნაბიჯზე ხედავს და ისმენს? თუ ვინმე წავა აღმათ ისეთი, რომელსაც არ უნახავს ცხოვრების ბიწიერი მხარე, ან ჯერ კიდევ ვერ გაურჩევია კეთილსა და ბოროტ შორის, და ასეთები არიან ის უსუსურები, რომლებსაც ახალგაზღობას, მოსწავლე თაობას ეძახიან და რომლებიც შეიადგენენ თეატრის ნიადაგ ნაფიც სტუმრებს.

რა ეშველებოდა ქუთაისის თეატრს მაინც, რომ ეს ძვირფასი სტუმრები არ უსხდნენ ქანდარებზე და თავის „ვაშას“ ძახილით, და მშობელთა ნაოფლარ გროშების ჩხრილით გულს არ უკეთებდნენ ესტეტიკის და ზნეობის ტაძრის მსახურ არტისტებს?

სტატისტიკურად რომ ვიანგარიშოთ ერთ გარეშე მსმენელზე წელიწადში 100 მოსწავლე ახალგაზღობა დაიარება თეატრში, ყოველ წარმოდგენაზეო, ამბობენ მკოდნე პირნი მოსწავლეებიდან თეატრს არა ნაკლებ 150 მანეთისა შემოუღისო. ჩვენ 50 მანეთით კიდევ შევამკირებთ ამ შემოსავალს და 100 მანეთს ვიანგარიშებთ. წელიწადში რომ 100 წარმოდგენა ჩავაგდოთ, ბავშებიდან თეატრს წელიწადში 10,000 მანეთი შეუვა, საიდგანაც 10,000 კაპეიკის არაფერი გამოაქვს (მათ), რომ ჩვენ მოსწავლე ახალგაზღობას თავი ჰკონდეს და სოციალიზმის განხორციელების უნარი, რომლითაც სიტყვაზე ვსთქვათ, ასე მოაქვსთ თავი, ამ ფულით დიდი სასარგებლო და სამადლო საქმე გაკეთდებოდა, ვიდრე ორიოდ უნიკო მსახიობის შენახვა. სახელდობრ ის, რომ ეს ფული 140 ლარიბ მოსწავლის სასწავლო ქირას გაისტუმრებდა წელიწადში.

მაგრამ ვინ მისცა ჩვენ ახალგაზღობას ამის

ნგარიშის თავი? ერთი გადახარხარება თეატრში, ერთი ჩქვეტი ყურება, ან კაცის გაგონება სტამბულს უჩვენია და რაც უნდა საბუთები მოუყვანო მაინც ვერას შეგონებ. გაუკვირდება კიდევ, როგორ შეიძლება თეატრის წარყოფა? როგორ შეედრება ის ნივთიერი ზოალი, რომელიც ადგია მშობლებს, იმ ზნეობრივ სარგებლობას, რომელსაც იძლევა თეატრი. გეტყვიან ჩვენი ახალგაზდები გაოცებით და თან ისეთი თვლით დაგიწყებენ ყურებას თითქო მომაკვდინებელი ცოდვა რაიმე ჩაგედინოს. ისინი სახუმროდ არ დაგიწყებენ მტკიცებას, რომ თეატრი აკეთილშობილებს, ავითარებს, ზნეობრივად ასბეტაკებს მათ, და იმას კი ვერ გრძნობენ, რომ იგი ხრწნის მათ ჯერ კიდევ ნორჩ გულს, უწამლავს ნებას, აჩვევს ბიწიერებას, როგორც საკმელს და სასმელს. გასაკვირვალა მოვლენა არ არის, რომ ვინც უფრო დაახლოვებულია თეატრზე, ის უფრო ბიწიერია. სოფლის გლეხებს თავის ღღეში თეატრი არ უნახავთ, მაგრამ იგინი ღმერთმა დაფაროთ, იმ გარყენილებასაგან რომელსაც ბუდე ჩაუდგავს ქალაქის მცხოვრებთ სახლებში, რომლებიც (მცხოვრებნი) ხშარად არიან თეატრში.

ემაწვილებს ჯერ კიდევ კარგად არ მსუგნიათ რუსული ანდაზის აზრა: „не все то золото, что блестит“. გცხოვთ ილიუსტრაციისთვის წაიკითხოთ ამ წლის № 16 „დროებაში“ ბ. ზოსიმეს ფელეტონი.

ბოსლეველი.

შეუქმებლობა სოციალიზმისა.

კარი პირველი

განხილვა ზოგიერთ წინასწარ საკითხისა.

3. უფრო დაწვლილებითა განმარტება სადავო საკითხისა.

(კატრეინიდგან).

(გაგრძელება.)*

თუმცა ეხლა ჩვენ უკვე ვიცით მომავალი სოციალისტური შენობის ძირითადი საფუძვლები.

* (იხ. შინ. საქ. № 28)

ბი, მაგრამ, ვიდრე შეუდგებოდეთ მისი სიმაგრის და გამძლეობის განხილვას, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, სახელდობრ რის დამტკიცებაც გვსურს.

1. თუ ჩვენ სოციალისტურს მოთხოვნებს უიმედოდ და შეუძლებლად ვთვლით, ეს ჩვენი დამტკიცება ეხება მხოლოდ თანამედროვე დემოკრატიულს სოციალიზმს. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ეკონომიური წესრიგი, წამოყენებული სოციალისტთაგან, შეიცავდეს წინააღმდეგობას ცნებაშივე, რომ სრულებით არ შეიძლებოდადეს მისი აღსრულება არაგვარს პირობებში. არა. შეუთანა კაცი რომ იყოს თავდადებული, შრომის მოყვარე, მორჩილი, ერთგული ზოგადი ინტერესებისა, ის რომ მხად იყოს ყველას დაუთმოს უპირატესობა და თითონ დადგეს სამძიმო ადგილზე, მოკლედ, კაცები რომ ანგელოზებად გახდნენ, საზოგადო წყობილება სოციალისტური რეცეპტით არ იქნებოდა შეუძლებელი. მაგრამ ხომ არ შეიძლება ყურადღება მივაქციოთ ამგვარ განზრახვას, როცა ლაპარაკია თანამედროვე კაცის შესახებ.

2. ჩვენ უფრო შორსაც მივდივართ. ჩვენ მხარს ვუჭკვეთ საკითხს შესახებ იმისა, შეიძლება თუ არა განხორციეოდეს სრული თავისუფლების საფუძველზე საზოგადო წარმოების ორგანიზაცია და სიკეთეთა განაწილება, თუ არა? თუ ჩვენ გაუხსენებთ ნაკლებად კულტურულს ერებს, რომლებიც, თავისი ნების წინააღმდეგ, ემორჩილებიან თვითმპყრობელს— მტარვალს, იქნება შესაძლებელადა ვსცნათ აღსრულება სოციალისტურ მოთხოვნათა მეტი ნაწილისა. ინკების**) ძველ საქეფოში ზოგიერთი სოციალისტური ოცნებები აღსრულდნენ, მაგრამ ინკების მეფე, როგორც მე შხისა, სარგებლობდა ღვთაებოაეი თაყვანისცემით და შეფობდა, როგორც შეუზღუდველი მფლობელი; აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ინკების კულტურული მდგომარეობა არ შეეებება ეხლანდელს.

მაგრამ განხორცილება სოციალისტური გეგმისა სავსებით, მაინც შეუძლებელია დემო-

***) ინკები— ამერიკელი ერო, რომელიც სჯავრებდა პერუში იპან. დთა შესევაძღე

კრატულ საფუძველზე*) საზოგადო თანასწორობაც კი რომ ვიქონიოთ სახეში. ჩვენ ვამბობთ სავსებით, ე. ი რადენადაც დაღვებულს სისტემას წარმოადგენენ სოციალისტური პროექტები. არც საქირია ჩვენთვის გამოვიკლიოთ. შესაძლებელია თუ არა განხორციელება ამა თუ იმ სოციალისტურ მოთხოვნებსა ცალკე, რადგანაც ეს სოციალ. ამი აღარ იქნება. მაგრამ მეტი ნაწილი სოციალისტურ მოთხოვნათა მკიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ასე რომ ერთი უმეორედ ვერ გასძლებს. ასეთებია, მაგ. მოთხოვნანი: ვასაზოგადობრივობა საწარმოო იარაღისა, წარმოების გაერთებული ორგანიზაცია, განაწილება ნაწ. რმოები ნაყოფისა ერთი განსაზღვრული საზოგადო საზომით.

3. ჩვენ არა გვაქვს აზრად დავამტყიცოთ, რომ სოციალიზმის განხორციელება თუნდ დროებითაც შეუძლებელია ძალაობის საშუალებით. ყოვლად წარმოუდგენელია, რას მოახდენს მოკლე დროში ძალდატანებითი ცვლილება ქარიზხალივით ამოვარდნილი. ქვეყნის ისტორიულს ცხოვრებაში ოდესმე უკვე მოხდა ყოვლად დაუგერებელი რამ. გაიხსენონ ინგლისის რევოლიუცია XVII და საფრანგეთის XVIII საუკ. მაგრამ სოციალისტურს წესწყობილებას არ შეუძლიან მტკიცედ დამყარდეს, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება კაცის ბუნების აღმოუფხვრელ მიდრეკილება-მოთხოვნილებათა.

4. ჩვენ სულაც არა გვსურს უარყოთ რაიმე უფლება საზოგადოებრივი საკუთრებისა, სახელდობრ მიწაზე. ჩვენ, პირიქით, ფიქრობთ, რომ სწორი დამოკიდებულება კერძო და საზოგადო საკუთრების შორის არის უმთავრესი ფაქტორი სოციალური გამოცანის გადაწყვეტილებაში. საშუალო საუკუნეებში ამ უფლებამ საზოგადოებრივი საკუთრების მ ხელი შე-

უწყო ეკონომიურ დამოკიდებულებათა სისწორეს, ამ სამსახურის გაწევა ამას მომავალშიც შეუძლიან. მაგრამ ეს არ არის ის, რაც სოციალიზმს სურს. სოციალიზმს სურს მოსპოს ყოველივე უფლება კერძო საკუთრებისა საწარმოო იარაღზე და აი სწორედ ეს განზრახვა არის უიმედო და შეუსრულებელი ცოტად თუ ბევრად გრძელი დროის განმავლობაში.

5. სოციალიზმის შემდგომ დარღვევაში ჩვენ შევისმენთ მას ისე, როგორც ესმით იგი სოციალდემოკრატებს ან კოლექტივისტებს—ეს ორივე სახელწოდება ერთ მნიშვნელოვანია. სოციალიზმის ამ ფორმას აწინდელს დროში ჰყავს მომეტებული და უფრო გავლენიანი წარმოადგენელები შედარებით აწინდელი წესწყობილების მტრებთან და აქვს უფრო მომეტებული იმედი თავისი პრინციპების შესრულებისა პრაქტიკაზე, რადგანაც იგი წარმოადგენს სოციალისტურ აზროვნების გონიერ განვითარებას. თუ სოციალიზმის ეს ფორმა დარღვეულ იქმნა, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან სოციალისტური სხვა სისტემები ჩავთვალოთ ყალბებად და ყურადღების არა ღირსად.

პირველად ყოვლისა და უმთავრესად, ჩვენ ვიხილავთ ეკონომიურს მიზნებს და შემდეგ მასთან აუცილებლად შევკავშირებულ მოთხოვნებს, მიტომ რომ ეს ეკონომიური მიზნები შეადგენენ საკუთრად სოციალიზმის გულის და მის განსაკუთრებით განსხვავებას სხვა სისტემათაგან. ერთურთის პროგრამაც აღხვავებს ეკონომიურ მიზნებს პოლიტიკურ მიზნებისგან და ამ უკანასკნელებს სთვლის იმგვარებად, რომლებს მიღწევა არსებულ საზოგადოებრივ წესის დროსაც შეიძლება. ზოგიერთი პოლიტიკური მოთხოვნანი პროგრამისა რადენადმე უკვე შესრულებული არიან სხვა სახელმწიფოებში, მაგ. რეფერენდუმის უფლება შვეიცარიაში. მოთხოვნა „საერთაშორისო უთანხმოებათა გადაწყვეტისა სამედიატორო სამართალით“ და ბევრი სხვა ამ გვარი მოთხოვნანი, შეიძლება, შევიდნენ არა სოციალისტთა პროგრამაშიც.

6. რადგანაც ქვემოთ ჩვენ გამოვიყვანთ დასკვნას სოციალისტურ მოთხოვნათაგან, რომ

*) რომ ვხლანდელი სოციალიზმი თავისი არსებით არის უკიდურესი დემოკრატული ბასიათისა და არა შემთხვევით, ესა სჩანს მის ძირითად პრინციპებიდან—საზოგადო თანასწორობიდან, აგრეთვე იმიდგან, რომ მას სურს საზოგადო კუთვნილებად გახადოს საწარმოო იარაღი. შრომის ყველა იარაღი ეკუთვნის სახელმწიფოს. საზოგადო ცხოვრების გააგება ერთი პარტიის ხელში, ყველა სხვა პარტიები კი მას უნდა მონურად ემორჩილებოდნენ.

თავიდან ავტოლოთ საჯვრელო ჩვენ დასკვნათა დაუსაბუთებლობის შესახებ, შეითხველის უფრადღებს მივაქცევთ იმაზე, რომ გამოვარჩევთ მხოლოდ აუტოლებლად საქირო დასკვნებს და ამ დასკვნათა შემწეობით. რომღე-ბიც გამოამდინარეობენ სოციალისტურ მოთხოვნათაგან, ჩვენ დავამტკიცებთ სოციალისტების შეუძლებლობას, რადგანაც მხოლოდ ამ გზით — საქირო დასკვნათა გამოყენებით უფრო დაბეჯითებით შეიძლება დარწმუნება სოციალისტების საზოგადო მოთხოვნათა და პრინციპების სიკრეფზე ან კვშარატებაზე.

ვევლა სოციალისტურ თხზულებაში მოცანილია შემდეგი მოთხოვნანი, ვოტურ და ვრფურტის პროგრამაში მოთავსებულნი: ვასაზოგადოებრიობა (ვასახელმწიფოებრიობა) ვველა სანარმოვო იარაღისა, საზოგადოებრივი (სწორზომიერი) ვაწესრიგება მთელი წარმოების აწინდელი სანარმოვო ანარქიის ნაცვლად. სახელდომრ რაც შეიძლება სრული დემოკრატიული თანასწორობის პრინციპზე, ასე რომ ზანგრძლივად და მტკიცედ მოსმოზილი იქნას ვოველივე ვლასური უმირატესობა — პრივილეგია და შემოღებულ იქნას საზოგადო ვალდებულება შრომისა. ამ ძირითად მოთხოვნასთან აუტოლებლად დავამრტებულია: ვანაწილება საზოგადო ნაყოფისა რომელიმე ვანსახტურული საზომით, რადგანაც საზოგადო ნაყოფი ვკუთნის საზოგადოებს და უნდა ვანაწილებულ იქნას წყურთა შორის, რაიზე საზო-ბის მიხედვით. წარმოების საზოგადო ვაწესრიგებისთან აუტოლებლად დავამრტებულია ვანაწილება შრომისა და სამუშაო ძალებისა. შეუ-ძლებელია, რომ მთელ საზოგადოების ვარდა-ქნამ უწველებულ სანარმოვო ამანაგობად არ ვამოსცვალოს ცხოვრების ვველა დამოკიდე-ბულებანიც. აღარ იქნება არავეარი ვერძო-სარბობა, სავრთაშორისო ვაქრობა, ვული მანკები, მირფა, საქციონერო და სხვა საზო-გადო მანი. იჯახური ცხოვრება, აღმრდა მუილებსა ავრეივე მარინად შეიკვლება.

ჩვენ როგზე ვანვიხილავთ ამ ძირითად მოთხოვნებს და აქედან გამოამდინარე შედეგებს.

გვმს, რომ ამ სახით ვანვენოთ მათი სრული სიყალბე.

ნაკრეანკო.

(შემდეგი იქნება).



შობილობის ახრამტობის მხმამტ.

ბ. რედაქტორო!

ვუმარბილესად ვთხოვთ ამ სახს ავგიდო დ-ვობით თქვენს ზიტევეკებულ ვაზუთის „მანაურა სექმუების“ მიხლობელ ნომერში ამ მვირე შენი-შენითურთ. ვარგად მოკესხეებთ, რომ წარსულ 48 კრებაზე იმერეთის დეპუტატებს მოასმანეს, სხვათა შორის, ორა თხოვნა დეპუტურებულ მღედლას იდას ტუმშურადისა, რომელიც თხოვდა: ხეყვან საუთაურ დახმარებას. კრებამდე დადგანა თათა მარხის გამოღებით კრებულზე შექციოს თ-ვის დავრდომად თანამომეს ვაკრეწილთადა, ს-ნამ იგი ივრცხლებს. ვერ ვატყვით, რომ კრება დიდა თანაგრძობათ მოქვეადეს სავკეიდის მი-რად მდევარ თავის ამხანაგს. კრთა მშრით, ვიდა ვუქით სამრეში მდევარ ამხანაგი და მუარე მშრით თათი მარხის შექქობა? ეს, რაკორფ ვენავეთ, ასე ანევადიმთ და, ვოტა არ ივოს, ვადთმივე-რუბასის და მოწეალების კრძობასთან შ-რის სვკას. მერამ, რაც უნდა ივოს, ეს მვირე მუქე-რასაც დიდ დახმარებას ვაუქქეს მითხოვნელს, თუ ვა ის მინგ შეყრამს თავის დროზე. მუ ხეში მშრით ვოტაოდემა ვადერე შექქობაზე ხუნემის ს-ხვადობანო სამდედელოთა შორის კრთის კრებაზე მერამ რადეან კრებას ვველა არ დასწრება, იმ-და მქეს დანაშენისივ მღეუ შეყრებს და მიწინავეს აუთმუთვ თანამბის. ვამწედათ ეს მვირე შეწინა-ღებს თავის დროზე შეყრასება, მერამ სარე ამ-ში რადდა. აქ სავკეიდისხმო ვუფრო სხვა არის. მხვე მარხის შესახებ შეწინაღებს ავრდებობდა ამუ-რეთის ემარქიის სინდლიობანობაში 1906 წელისგ და, რაკორფ ტუმშურადის თხოვნად მანდა, მის მიუდას მხოლოდ ვხარ მანათა. დავაყროთ ეს სამ-დედად? მთელს ემარქიაში ვხარ მანათის მტკი-არ შეყრასა? მუ ეს არ მდევარ. არ მდევარ ვუფრო